*ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა*

№12

ქ. თბილისი 23 დეკემბერი 2019 წ.

ერთის მხრივ სსიპ - ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი (შემდგომში "დამკვეთად" წოდებული), გენერალური დირექტორის მოადგილის *ტარიელ ჭანტურიძის* სახით, და მეორე მხრივ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის (შემდგომში "დაცვად" წოდებული), დაცვის ორგანიზაციის მთავარი სამმართველოს უფროსის *მამუკა ლიპარტელიანის* სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე (SMP190004460):

**მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი**

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს გამოძიებასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვა (CPV-79700000).

1.2. „დაცვა" უზრუნველყოფს „დამკვეთის" კუთვნილი ობიექტის დაცვას (შემდგომში „ობიექტად" წოდებული), რომელიც მდებარეობს დანართი N1-ით გათვალისწინებულ მისამართებზე.

1.3. "დამკვეთი" იღებს ვალდებულებას "დაცვას" გადაუხადოს დაცვის მომსახურების ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულების მე-5 მუხლის მოთხოვნათა მიხედვით."ობიექტის" დაცვა განხორციელდება "დამკვეთის" მიერ "ობიექტის" დაცვის ცენტრალიზებულ პუნქტზე ჩაბარებისა და "დაცვის" მიერ ობიექტის დაცვაში აყვანის შემდეგ;

1.4. "ობიექტზე" დანაშაულის აღკვეთა (საგანგაშო სიგნალიზაციით, "ღილაკის" მეშვეობით) განხორციელდება ცენტრალიზებულ დაცვის პულტზე მიღებულ განგაშზე სათანადო რეაგირების გზით.

**მუხლი 2. ხელშეკრულების საფუძველი**

2.1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის $10^1$ მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტი;

2.2. დაფინანსების წყარო: დაავადებათა კონტროლისა და ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების პროგრამის მართვა.

**მუხლი 3. ხელშკრულების ღირებულება**

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **24000.00** (ოცდაოთხიათასი), საიდანაც ერთი თვის ღირებულება შეადგენს **2000. 00** (ორიათასი) ლარს, დღგ-ს გათვალისწინებით.

**მუხლი 4. დაცვის განმახორციელებელი რაიონული დანაყოფები**

4.1 "ობიექტის" დაცვას განახორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დანართი N1-ით გათვალისწინებული რაიონული დანაყოფები.

**მუხლი 5. მხარეთა შორის ანგარიშსწორება**

5.1. დაცვის მომსახურების ღირებულება ერთ თვეში დღგ-ს ჩათვლით გათვალისწინებულია წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული დანართი №1-ის მიხედვით.

5.2. ანგარიშსწორება მხარეთა შორის განხორციელდეს საგადასახო დოკუმენტაციის გამოწერიდან 10 საბანკო დღის განმავლობაში;

5.3. „დაცვის" მომსახურების საგადასახდო დოკუმენტაციის გამოწერას უზრუნველყოფს სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დანართი №1-ით გათვალისწინებული რეგიონალური დანაყოფები.

5.4 ინსპექტირებასა და მიღება-ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირები არიან - ცენტრის საზ. ჯანდაცვის რეგიონული მართვის დეპარტამენტის სამმართველოებისა და განყოფილებების უფროსები.

**მუხლი 6. მხარეთა უფლება - მოვალეობანი**

**6.1."დაცვა" ვალდებულია:**

6.1.1.წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით, უზრუნველყოს მის საკუთრებაში არსებული: რადიო გადამცემის, რადიო გადამცემის ყუთის, რადიო გადამცემის პლატის მონტაჟი-ინსტალაცია "დამკვეთის" ობიექტზე;

6.1.2.ცენტრალიზებული დაცვის პულტზე განგაშის მიღებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) წუთისა მოახდინოს "ობიექტზე" გამოცხადება და ადგილზე მისვლის შემდეგ, „ობიექტზე" მომხდარი სამართალდარღვევის ფაქტის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს „დამკვეთს" და უზრუნველყოს შსს შესაბამისი ორგანოების გამოძახება, ხოლო მათ მოსვლამდე უზრუნველყოს შემთხვევის ადგილის ხელშეუხებლობა;

6.1.3. მატერიალური პასუხისმგებლობა ზარალისათვის იკისროს, მხოლოდ მაშინ, როდესაც "ობიექტი" დაცული იყო პერიმეტრული დაცვითი სიგნალიზაციით;
6.1.4. „დამკვეთს" ფაქტიური ზარალი აუნაზღაუროს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული, გადაწყვეტილების საფუძველზე;
6.1.5. სიგნალ "განგაშის" მიღებისას ობიექტის გასახსნელად, სიგნალის ამუშავების მიზეზის დასადგენად, აგრეთვე ობიექტის ხელმეორედ დაცვაზე ასაყვანად გამოიძახოს "დამკვეთი" ან ობიექტის მიღება-ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირი;
6.1.6. არ მიიღოს "ობიექტი" დაცვაში, თუ შეიქმნა პირობები რომლის გამოც, "დაცვისგან" დამოუკიდებელი მიზეზებით არ ხერხდება დაცვაში აყვანა, რაზედაც "დამკვეთს" ეცნობება წინასწარ;
6.1.7. იკისროს პასუხისმგებლობა მხოლოდ იმ ზარალისათვის, რომელიც გამოიწვია "დაცვის" ვალდებულებების არაჯეროვანმა შესრულებამ და არა "დამკვეთის" დაუდევრობამ.

6.2. "დამკვეთი" ვალდებულია:

6.2.1. „ობიექტის" დაცვაზე მიღება-ჩაბარებისათვის ოფიციალურად გამოყოს პასუხისმგებელი (ნდობით აღჭურვილი) პირი და გადასცეს მას სიგნალიზაციით სარგებლობის ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შესრულების უფლება;
6.2.2. განგაშის შემთხვევაში "დაცვას" მისცეს დასაცავი "ობიექტის" გახსნისა და დათვალიერების საშუალება;
6.2.3. უცხო პირებს არ გაანდოს დაცვის ტექნიკური საშუალებების გამოყენების წესები, ობიექტზე მინიჭებული პირობითი ნომერი;
6.2.4. სიგნალიზაციის გაუმართაობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ "დაცვას", დაელოდოს "დაცვის" წარმომადგენლის გამოცხადებას და ნაკლოვანებების აღმოფხვრას;
6.2.5. ელექტროენერგიის ავარიული გამორთვის შემთხვევაში იქონიოს გამართულ მდგომარეობაში დასამუხტი და სარეზერვო მკვებავი საშუალებები;
6.2.6. წინამდებარე ხელშეკრულების 6.1.1 პუნქტში მითითებული მოწყობილობების (რომლებიც წარმოადგენს „დაცვის" საკუთრებას და დაცვის განხორციელების მიზნით გადაცემულია „დამკვეთისათვის") განზრახ ან გაუფრთხილებლობით დაზიანების შემთხვევაში აანაზღაუროს მიყენებული ზარალი, განსაზღვრული დაცვითი-საგანგაშო სიგნალიზაციის სისტემის მონტაჟ-ინსტალაციის მიღება-ჩაბარების აქტის "ზ" პუნქტით;
6.2.7. მხოლოდ დაცვასთან შეთანხმებით გადასცეს პასუხისმგებელ (ნდობით აღჭურვილ) პირს „ობიექტზე" შესვლის, სიგნალიზაციით სარგებლობისა და ხელშეკრულების 6.2.2. 6.2.3. და 6.2.4. პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების უფლება;
6.2.8. უზრუნველყოს მოკვლევის აქტით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება;
6.2.9. არ დაუშვას „შემსრულებლის" მიერ დამონტაჟებული აპარატურის გადაკეთება ან შეკეთება დაცვის პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენლის გარეშე. წინააღმდეგ შემთხვევაში დაცვა არ აგებს პასუხს დამკვეთის თვითნებური მოქმედებით გამოწვეულ გაუმართაობაზე (შეფერხებაზე) და დამკვეთისათვის მიყენებულ ზიანზე;
6.2.10. რეკვიზიტების (მისამართი, საკონტაქტო ტელეფონები) შეცვლის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს "დაცვას".

**მუხლი 7. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა**
7.1.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულებიასთვის მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლოს გადახდა;
7.2. "მომსახურების" მოწოდებისათვის განსაზღვრული ვადების დარღვევის ან ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, „დაცვა" ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით იხდის პირგასამტეხლოს ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.
7.3. ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის თაობაზე შეტყობინების ვადის დარღვევის შემთხვევაში, "დამკვეთი" ვალდებულია "დაცვას" გადაუხადოს პირგასამტეხლო დაცვის მომსახურების ერთი თვის ღირებულების ოდენობით, პირგასამტეხლოს თაობაზე მოთხოვნის წარდგენიდან არა უგვიანეს 14 საბანკო დღის განმავლობაში;

7.4. ხელშეკრულების 1.3 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, „დამკვეთს" ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა შეუსრულებელი ვალდებულების 0,1% -ის ოდენობით.
7.5. ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის თაობაზე შეტყობინების ვადის დარღვევის შემთხვევაში, "დაცვა" ვალდებულია "დამკვეთს" გადაუხადოს პირგასამტეხლო დაცვის მომსახურების ერთი თვის ღირებულების ოდენობით, პირგასამტეხლოს თაობაზე მოთხოვნის წარდგენიდან არა უგვიანეს 14 საბანკო დღის განმავლობაში.
7.6. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისგან.

მუხლი 8. ფორს-მაჟორი

8.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისგან ფორს–მაჟორული შემთხვევის დროს, რომლის დროსაც შეუძლებელია დაკისრებული მოვალეობების შესრულება და რაც დადასტურებულია სათანადო ორგანოების მიერ.

მუხლი 9. მომსახურების გაწევის და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1მომსახურების გაწევის ვადაა 2020 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

9.2ხელშეკრულება ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვრიდან და მოქმედებს 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

მუხლი 10. სხვა პირობები

10.1. წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია;

10.2“მხარეები” უფლებამოსილნი არიან ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება, რის შესახებაც ერთმანეთს აცნობებენ არანაკლებ 30 დღით ადრე;

10.3ხელშეკრულების 7.2 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ოდენობის შეუსრულებელი ვალდებულების 5%-ის მიღწევის შემთხვევაში, „დაცვა“ უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება დაუყოვნებლივ;

10.4ხელშეკრულების 7.4 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ოდენობის შეუსრულებელი ვალდებულების 5%-ის მიღწევის შემთხვევაში, „დამკვეთი“ უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება დაუყოვნებლივ;

10.5სადავო საკითხებს მხარეები გადაწყვეტენ ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში სასამართლოს მეშვეობით;

10.6ხელშეკრულება შედგენილია „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

„დამკვეთი”
სსიპ - ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა
და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
ქ. თბილისი, მ. ასათიანის ქ. №9
საიდენტიფიკაციო კოდი: 211324351
სახელმწიფო ხაზინა: TRESGE22
ა/ნ: GE24NB0330100200165022
გენერალური დირექტორის მოადგილე:

ტ. ჭანტურიძე

L Sakvarelidze National Center For Disease Control and Public Health
Digitally signed by L Sakvarelidze National Center For Disease Control and Public Health
Date: 2019.12.23 16:05:05 +04'00'

„დაცვა”
შსს სსიპ – დაცვის პოლიციის დეპარტამენტი, ს/კ 211350928
ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე–11 კმ
ს.ს. “საქართველოს ბანკი” ცენტრალური ფილიალი
მიმღების ბანკი - სახელმწიფო ხაზინა TRESGE22
მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში
მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი - 707117293

დაცვის ორგანიზაციის მთავარი
სამმართველოს უფროსი:

მ. ლიპარტელიანი

დანართი #1

| № | მომსახურება | გასაღების რაოდენობა | ერთეულის ღირებულება, ლარი, დღგ-ს გათვალისწინებით | რეკვიზიტები |
|---|---|---|---|---|
| | კახეთის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველო | | | მიმღების ბანკი_სახელმწიფო ხაზინა<br>მიმღების დასახელება _ ხაზინის<br>ერთიანი ანგარიში ბანკის კოდი_ TRESGE22;<br>მიმღების ანგარიში სახაზინო კოდი 707117046 |
| 1 | ქ. თელავი, ალადაშვილის №2 | 1 პერიმეტრი<br>1 სახანძრო | 200.00 | |
| | სულ | 2 | 200.00 | |
| | შიდა ქართლის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველო | | | მიმღების ბანკი_სახელმწიფო ხაზინა<br>მიმღების დასახელება _ ხაზინის<br>ერთიანი ანგარიში ბანკის კოდი_ TRESGE22;<br>მიმღების ანგარიში სახაზინო კოდი 707117045 |
| 2 | ქ. გორი, ცხინვალის გზატკეცილი №14 | 1 პერიმეტრი<br>1 სახანძრო | 200.00 | |
| | სულ | 2 | 200.00 | |
| | იმერეთი-გურიის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველო | | | მიმღების ბანკი_სახელმწიფო ხაზინა<br>მიმღების დასახელება _ ხაზინის<br>ერთიანი ანგარიში ბანკის კოდი_ TRESGE22;<br>მიმღების ანგარიში სახაზინო კოდი<br>707117042 |
| 3 | ქ. ქუთაისი, ოცხელის ქ. №2 | 1 პერიმეტრი<br>1 საგანგაშო ღილაკი<br>1 პერიმეტრი | 335.00 | |
| 4 | ქ. ამბროლაური, ბრატისლავა-რაჭის №11 | 1 პერიმეტრი<br>1 სახანძრო | 200.00 | |
| | სულ | 5 | 535.00 | |
| | აჭარის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველო | | | მიმღების ბანკი_სახელმწიფო ხაზინა<br>მიმღების დასახელება _ ხაზინის<br>ერთიანი ანგარიში ბანკის კოდი_ TRESGE22;<br>მიმღების ანგარიში სახაზინო |
| 5 | ქ. ბათუმი, ქათამაძის ჩიხი №4 | 1 პერიმეტრი<br>1 პერიმეტრი<br>1 პერიმეტრი | 265.00 | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | სულ | 3 | 265.00 | [illegible] კოდი 707117043 |
| | სამცხეთ-ჯავახეთის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველო | | | მიმღების ბანკი_სახელმწიფო ხაზინა<br>მიმღების დასახელება _ ხაზინის<br>ერთიანი ანგარიში ბანკის კოდი_ TRESGE22;<br>მიმღების ანგარიში სახაზინო კოდი 707117044 |
| 6 | ქ. ახალციხე, ახალციხის გზატკეცილი 1 კილომეტრი | 1 პერიმეტრი<br>1 სახანძრო | 200.00 | |
| | სულ | 2 | 200.00 | |
| | სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველო | | | მიმღების ბანკი_სახელმწიფო ხაზინა<br>მიმღების დასახელება _ ხაზინის<br>ერთიანი ანგარიში ბანკის კოდი_ TRESGE22;<br>მიმღების ანგარიში სახაზინო კოდი 707117041 |
| 7 | ქ. ოზურგეთი, თაყაიშვილის ქუჩა 3 | 1 პერიმეტრი<br>1 სახანძრო | 200.00 | |
| 8 | ქ. ფოთი, გურიის ქუჩა 6 | 1 პერიმეტრი<br>1 სახანძრო | 200.00 | |
| 9 | ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქუჩა | 1 პერიმეტრი<br>1 სახანძრო | 200.00 | |
| | სულ | 6 | 600.00 | |
| | სულ ჯამი (ერთ თვის ღირებულება) | 20 | 2000.00 | |

„დამკვეთი"

სსიპ - ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

გენერალური დირექტორის მოადგილე:

*ტ.ჯანტურიძე*

„დაცვა"
შსს სსიპ – დაცვის პოლიციის დეპარტამენტი
დაცვის ორგანიზაციის მთავარი
სამმართველოს უფროსი:

*მ. ლიპარტელიანი*

23 დეკემბერი 2019 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის (მუხლი 8) და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების (მუხლი 8) შესაბამისად ქვემოთ ხელისმომწერი პირები ვადასტურებთ, მიმწოდებელთან შსს სსიპ „დაცვის პოლიციის დეპარტამენტი "-სთან ურთიერთობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ვიზა:

ო.ნამიჭეიშვილი

გ.ქობალია

კ.ოჩიგავა

ლ.ებანოიძე

შ.ჭილაშვილი

ნ.მარჯანიძე

კ.ფირცხალაიშვილი

შემსრულებელი:ა.მეტრეველი